



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030498824390016

№ 04-373/ა

30 / ივნისი / 2016 წ.

**ზოგიერთი სახელმწიფო გასაცემლის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით
გასატარებელი რიგი ღონისძიებების შესახებ**

„სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N279 დადგენილებაში შეტანილი ცვლილებების და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის დანიშნული გასაცემლის ოდენობის ზრდასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით, დაევალოთ:

ა) სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) სახელმწიფო გასაცემლების დეპარტამენტს (ვ. ჯაფოშვილი):

ა.ა) უზრუნველყოს ავტომატიზებული აღრიცხვის სისტემაში სოციალური პაკეტის მიმღებ შესაბამის პირთათვის, 2016 წლის 1 ივლისიდან გასაცემლის ოდენობის ზრდასთან დაკავშირებით საჭირო პროგრამული ცვლილებების შეტანა;

ა.ბ) პროგრამული ცვლილებების პაკეტის სააგენტოს ტერიტორიული ერთეულებისათვის (სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალი, თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრი, რაიონული (საქალაქო) განყოფილებები) მიწოდება;

ბ) სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებს:


ბ.ა) ავტომატიზებული აღრიცხვის სისტემაში ამ ბრძანების შესაბამისად შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, უზრუნველყონ ელექტრონული და დოკუმენტური საქმისწარმოება;

ბ.ბ) გაითვალისწინონ, რომ სოციალური პაკეტის ოდენობის მატება, რომელიც კანონმდებლობით გათვალისწინებულია მასიურად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (გადაანგარიშების გადაწყვეტილებები) გამოცემას და საქმეში ასახვას არ საჭიროებს.

2. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ.გოგოლაძე) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისათვის გაგზავნა.

3. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი



ზაზა სოფრომაძე